

ბანკები & ფინანსები

- [Twitter](#)
- [Facebook](#)
- [Youtube](#)
- [Google+](#)
- [RSS](#)

- [მთავარი](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ფინანსები](#)
- [ბიზნესი](#)
- [საზოგადოება](#)
-

"პანორამა თბილისის" მშენებლობა დაიწყო

[მთავარი](#) → [საზოგადოება](#) 17.07.2015



ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მიერ ინიცირებული პროექტის "პანორამა თბილისის" პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო. პროექტს თანაინვესტირების ფონდი დააფინანსებს. პროექტი ოთხ ახალ კომპლექსს აერთიანებს: სოლოლაკის მაღლობს, სოლოლაკის ბაღებს, თავისუფლების მოედანს და ერეკლე მეორის მოედანს.

თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ბაჩიაშვილის განცხადებით, "პანორამა თბილისის" მმართველი გუნდი პროექტის განხორციელებაზე მუშაობს და

თავისუფლების მოედანზე გარკვეული სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ პროექტ "პანორამა თბილისთან" დაკავშირებით მშენებლობის სამი ნებართვა გასცა.

პირველი ობიექტზე - ყოფილი "ცეკავშირის" შენობის ტერიტორიაზე, სადაც მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი შენდება - ნებართვა 2015 წლის 20 აპრილს გაიცა; მეორე ობიექტზე - სოლოლაკის ბაღებზე - 2015 წლის 18 მაისს; ხოლო მესამე ობიექტზე - სოლოლაკის მაღლობზე, სადაც მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი უნდა აშენდეს _ 2015 წლის 8 ივნისს.

რაც შეეხება სოლოლაკის ნაწილს, ბაჩიაშვილის თქმით, იქ გარკვეული სანებართვო სამუშაოები კიდევ არის დარჩენილი.

"კითხვაზე, აქვთ თუ არა მერიისგან ნებართვა, როგორც ბაჩიაშვილმა განმარტა, "მერიისგან ქვედა ნაწილში არის ნებართვა, ზედა ნაწილში ჯერ – არა".

თბილისის მერის მოადგილის ნინა ხატისკაცის განცხადებით, მე-5 კატეგორიის პროექტები ეკონომიკის სამინისტროში მტკიცდება, თბილისის მერიას კი, მშენებლობის პროცესში მხოლოდ საზედამხედველო ფუნქცია ექნება.

"მერია ამ პროცესში არ მონაწილეობს, იმიტომ რომ, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, მე-5 კატეგორიის პროექტები ეკონომიკის სამინისტროში მტკიცდება. ეს ნიშნავს იმას, რომ პროექტი შეთანხმებულია ეკონომიკის სამინისტროში. ამ შემთხვევაში მერიას მხოლოდ საზედამხედველო ფუნქცია ექნება მშენებლობის პერიოდში. რაც შეეხება ნებართვას და თავად პროექტის შეთანხმებას მერიასთან, ასეთი რამე არ მომხდარა, ეს მოხდა ეკონომიკის სამინისტროში", - განაცხადა ნინა ხატისკაცმა.

თბილისის საკრებულომ 2014 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე ცვლილება შეიტანა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში. ამ გადაწყვეტილებით, სოლოლაკის ქედს ლანდშაფტის ზონის სტატუსი შეეცვალა და საქმიან და საცხოვრებელ ზონად იქცა. ამით კი, ფაქტობრივად, შესაძლებელი გახდა განხორციელდეს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული "თანაინვესტირების ფონდის" პროექტი "პანორამა თბილისი", რაც სოლოლაკის მაღლობებზე სასტუმრო კომპლექსის, ერეკლესა და თავისუფლების მოედნებზე სავაჭრო-ბიზნესცენტრების მოწყობას და მათ დაკავშირებას გულისხმობს საბაგირო გზებით.

2015 წლის 30 იანვარს "კომერსანტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, კომპანია „ოლდ სითი დეველოპმენტის" პროექტების მართვის დირექტორი ირაკლი ქარსელაძე აცხადებს, რომ „პანორამა თბილისის“ თავდაპირველი კონცეფცია შეიცვალა და გადაწყდა, რომ „საბაგიროებით მხოლოდ თავისუფლების მოედნის კომპლექსი დაუკავშირდება სოლოლაკის ბაღებს“.

როგორც კომპანიაში განმარტეს, პროექტს სხვა არსებითი ცვლილება არ განუცდია და ის კვლავ მოიცავს ოთხ კომპლექსს: ერეკლე მეორისა და თავისუფლების მოედნებს და სოლოლაკის ქედზე მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსებსა და სოლოლაკის ბაღებს. ამასთან, კომპანიაში კატეგორიულად უარყოფენ იმ ინფორმაციასაც, რომ სოლოლაკის ქედის გადაჭრა გახდება საჭირო.

არასამთავრობო ორგანიზაციები - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ტფილისის ჰამქარი, მწვანე ალტერნატივა და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი „პანორამა თბილისის" პროექტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

ორგანიზაციების განმარტებით, 2015 წლის 16 ივლისს, მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემაჯალმა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ „პანორამა თბილისის" პროექტზე მშენებლობის ნებართვა გასცა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, „პანორამა თბილისის" პროექტთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სამინისტროს სისტემაში შემაჯალმა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ, სრული იგნორირებით, დატოვეს 17 ორგანიზაციის და 5000-მდე საქართველოს მოქალაქის ოფიციალური

მიმართვა/მოწოდება, რომ „პანორამა თბილისის“ პროექტზე მსჯელობის დროს გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების საფუძველზე მომხდარიყო“.

„ადმინისტრაციული წარმოების საჯარო წესით ჩატარება ერთი მხრივ ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას მისცემდა პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დაეფქსირებინა, ხოლო მეორე მხრივ ხელს შეუწყობდა საკითხისადმი საჯარო დისკუსიის წარმართვას.

იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილ ლოკაციებზე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით არაერთი შენიშვნა და პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს (მათ შორის: სატრანსპორტო, ეკოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით), გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობასა და გამჭვირვალობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

თუმცა, განცხადების ავტორებისათვის ამ დრომდე უცნობი რჩება, თუ რატომ არ გამოიყენეს ადმინისტრაციულმა ორგანომმა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, რომელიც საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა იმ საკითხებზე, რომელიც პირთა ფართო წრის ინტერესებს ეხება.

სამინისტროსა და სააგენტოს, და შესაბამისად - სახელმწიფოს დამოკიდებულება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ეკიდებიან ისინი ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ვალდებულებებს მოქალაქეების წინაშე.

მიგვაჩნია, რომ „პანორამა თბილისის“ მასშტაბის პროექტზე შესაბამისი ნებართვის გაცემის პროცესში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის უფლებელყოფა და გადაწყვეტილების ფარულად, დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის გარეშე მიღება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს მთავრობის დეკლარირებულ პოლიტიკას - ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) უმთავრესი პრინციპების დაცვის მიმართულებით (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, სამოქალაქო ჩართულობა).

ჩვენ ვაცნობიერებთ ინვესტიციების და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობას ქვეყნისთვის, თუმცა გვსურს ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ ქალაქი ეკუთვნის ხალხს და არა კონკრეტულ მიწაზე საკუთრების უფლების მქონე იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს და ისეთ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანია, გადაწყვეტილების დაჩქარებულად, გაუმჭვირვალედ და საზოგადოების ჩართულობის გარეშე მიღება, ეწინააღმდეგება დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს" - ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში.

Commersant.ge

Send

Like

0

Tweet

0

8